ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48223082
თარიღი:04/11/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების მიერ 500 კვ. ქვესადგურ „წყალტუბო“-სთან მისასვლელი გზის (945 გ/მ.), მისასვლელი გზისა და ქვესადგურის საევაკუაციო გასასვლელთან დამაკავშირებელი გზის (56 გრ.მ) და ქ/ს წყალტუბო 500 -ს არსებულ ქ/ს წყალტუბო 220-ის მისასვლელ გზასთან დამაკავშირებელი გზის (28 გრ.მ) სამშენებლო პროექტში ცვლილების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე, მე-6-ე, მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე, მე-10-ე და მე-11-ე მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 94-ე. 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100-ე, 103-ე, 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლებისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეთანხმდეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების მიერ 500 კვ. ქვესადგურ „წყალტუბო“-სთან მისასვლელი გზის (945 გ/მ.), მისასვლელი გზისა და ქვესადგურის საევაკუაციო გასასვლელთან დამაკავშირებელი გზის (56 გრ.მ) და ქ/ს წყალტუბო 500 -ს არსებულ ქ/ს წყალტუბო 220-ის მისასვლელ გზასთან დამაკავშირებელი გზის (28 გრ.მ) ცვლილებაშეტანილი სამშენებლო პროექტი და მიეცეს მშენებლობის ნებართვა.

2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 ივნისის Nბ48.482216411 ბრძანების შესაბამისად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში(ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 221274546

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქი №2
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2
22127546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი